


კლიენტების მომსახურების რეგლამენტის დანართი N **29**
დამტკიცებულია შპს „რიონი კაპიტალის“ დირექტორის

„28“ ნოემბერი 2025 წლის ბრძანებით № 01-27

**საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”
კლიენტების კატეგორიზების
პოლიტიკა**

თავსართი

	გვ.
1. ზოგადი დებულება	3
2. განმარტებები	4
3. ზოგადი პრინციპები	5
4. კლიენტების კლასიფიკაცია	6
5. კლიენტის მოთხოვნით კატეგორიის შეცვლა	12
6. კლიენტის კატეგორიის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა.....	16
7. ინვესტორის დაცვის უფლებები	17
8. პოლიტიკის გადახედვა.....	18
დანართები.....	19

1. ზოგადი დებულება

წინამდებარე კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკა (შემდგომში - „პოლიტიკა“) შემუშავებულია შემდეგის საფუძველზე:

- საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის № 223/04 ბრძანების „გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების;
- საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალი“-ს (შემდგომში - „ბროკერი“) შიდა დოკუმენტების;
- საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების გათვალისწინებით, ასევე ევროპის კავშირის სამართლის მოთხოვნების, მათ შორის დირექტივის 2014/65/EU (MiFID II), როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ რეგულაციებს.

1.1. წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში - „რეგლამენტი“) განუყოფელ ნაწილს, აგრეთვე კომპანიის შესაბამის შიდა პროცედურებს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- საუკეთესო შესრულების პოლიტიკა (Best Execution Policy);
- ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა (Conflicts of Interest Policy).

1.2. წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება:

- კომპანიის ყველა კლიენტზე, მათ შორის: ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც სარგებლობენ საინვესტიციო და დამხმარე მომსახურებებით;
- კომპანიის ყველა თანამშრომელზე, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტების იდენტიფიკაციის, კატეგორიზაციისა და მომსახურების პროცესებში;
- კატეგორიის გადახედვის (რეკლასიფიკაციის) ყველა შემთხვევაზე, როგორც კლიენტის, ისე კომპანიის ინიციატივით.

1.3. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებია:

- კლიენტების კატეგორიზაციის გამჭვირვალე, სამართლიანი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პროცედურის დადგენა, რომელიც განსაზღვრავს მიწოდებული ინფორმაციის მოცულობას, ინვესტორის დაცვის დონეს და კომპანიის რეგულატორული ვალდებულებების ხარისხს საინვესტიციო მომსახურებების გაწევისას;
- კლიენტის ცოდნის, გამოცდილებისა და ფინანსური შესაძლებლობების შეფასებისას სამართლიანი, გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველყოფა;
- კომპანიის კლიენტებისა და პოტენციური კლიენტების ინფორმირება მათი კლასიფიკაციის პროცედურების, შესაბამისი კატეგორიიდან გამომდინარე ინვესტორის დაცვის უფლებების შესახებ, აგრეთვე იმ გარემოებების ახსნა, რომელთა შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი კატეგორიის შეცვლა და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას კლიენტის დაცვის დონეზე;

1.4. წინამდებარე პოლიტიკის მიზანია კლიენტების ოთხ კატეგორიად კლასიფიკაცია, კრიტერიუმებისა და წესის დადგენა:

1. საცალო კლიენტი (Retail Client);
2. გათვითცნობიერებული ინვესტორი (Informed Investor);

3. პროფესიონალი კლიენტი (Professional Client);
4. კვალიფიციური კონტრაგენტი (Eligible Counterparty).

- 1.5. წინამდებარე პოლიტიკა განიხილება როგორც წერილობითი შეტყობინება იმ დაცვის ზომების შესახებ, რომელთა დაკარგვაც კლიენტს შეიძლება დაემუქროს საცალო კლიენტის ნაცვლად პროფესიონალი კლიენტის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ან პროფესიონალი ან საცალო კლიენტის ნაცვლად გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში.
- 1.6. წინამდებარე პოლიტიკა მიეწოდება კომპანიის ყველა შესაბამის თანამშრომელს, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტების კატეგორიზაციის პროცესში, აგრეთვე ხელმისაწვდომია კომპანიის კლიენტებისა და პოტენციური კლიენტებისთვის საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების შესაბამისად და ასევე დირექტივის 2014/65/EU (MiFID II) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებს.
- 1.7. ყველა შესაბამისი თანამშრომელი ვალდებულია იცნობდეს წინამდებარე დოკუმენტის დებულებებს და ესმოდეს კლიენტების კატეგორიზაციის როლი და მნიშვნელობა კლიენტის დაცვის დონის განსაზღვრისას.
- 1.8. ვინაიდან წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს კომპანიის კლიენტთან დადებული ხელშეკრულების, კერძოდ კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის, განუყოფელ ნაწილს, კლიენტი დაკავშირებულია წინამდებარე პოლიტიკის პირობებით მასში განსაზღვრული მოცულობით.

2. განმარტებები

განმარტებები და ტერმინები რომლებიც არ არის მოყვანილი ამ თავში, გამოიყენება კომპანიის გლოსარში (რეგლამენტის დანართი № 16) მოყვანილ მნიშვნელობით, ან კლიენტების მოსამსახურების რეგლამენტში, ხოლო სხვა შემთხვევებში, გამოიყენება საბაზრო პრაქტიკაში მიღებული განმარტებები.

- a. **საცალო კლიენტი (Retail Client)** - კლიენტი, რომელიც არ მიეკუთვნება არც პროფესიონალი კლიენტის (Professional Client) და არც კვალიფიციური კონტრაგენტის (Eligible Counterparty) კატეგორიას. გარდა იმ კლიენტებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე პოლიტიკის 5.2 და 5.3 ნაწილებში განსაზღვრულ მოთხოვნებს, ან თუ წერილობითად სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა კლიენტი კლასიფიცირდება როგორც საცალო კლიენტი. (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის 4.1 ნაწილში).
- b. **გათვითცნობიერებული ინვესტორი (Informed Investor)** - კლიენტი, რომელსაც მიენიჭა გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსი გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების წესის შესაბამისად (რეგლამენტის დანართი №27) და რომლის ზოგადი აღწერა მოცემულია წინამდებარე პოლიტიკის 4.3 ნაწილში.
- c. **პროფესიონალი კლიენტი (Professional Client)** - კლიენტთა კატეგორია, რომლის განსაზღვრისას გათვალისწინებულია დირექტივა MiFID II როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის

ნორმატიული აქტების ფარგლებში, რომლებიც მიიჩნევიან პროფესიონალებად დადგენილი კრიტერიუმების, გამოცდილებისა და საქმიანობის მასშტაბების საფუძველზე. ასეთი კლიენტები ფლობენ საკმარის ცოდნას, გამოცდილებასა და ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა გააცნობიერონ რთულ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული რისკები და, შესაბამისად, სარგებლობენ რეგულატორული დაცვის უფრო დაბალი დონით, ვიდრე საცალო კლიენტები. (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის 4.2 ნაწილში).

- d. **კვალიფიციური კონტრაგენტი (Eligible Counterparty)** - დირექტივა MiFID II-ის გათვალისწინებით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, და მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომელიც მოიცავს საინვესტიციო ბაზრის ყველაზე გამოცდილ და ფინანსურად მდგრად მონაწილეებს, რომლებიც ახორციელებენ სავაჭრო ოპერაციებს მნიშვნელოვანი მოცულობებით. ესენი არიან ფინანსური დაწესებულებები ან ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მაღალ ექსპერტიზას და აკმაყოფილებენ წინამდებარე პოლიტიკის 4.4 ნაწილით გათვალისწინებულ ერთ ან მეტ კრიტერიუმს.
- e. **საინვესტიციო მომსახურებები / საინვესტიციო საქმიანობა (Investment Services / Investment Activities)** - ნებისმიერი მომსახურება ან საქმიანობის სახე, რომელსაც კომპანია სთავაზობს და რომლის განხორციელებისთვის ბროკერს მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საინვესტიციო და დამხმარე მომსახურებებით:
- ერთი ან რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით კლიენტის დავალებების მიღება და გადაცემა;
 - კლიენტების სახელითა და მათი ხარჯზე დავალებების შესრულება;
 - საკუთარი ანგარიშით ოპერაციების განხორციელება;
 - საინვესტიციო პორტფელის ნდობით მართვა;
 - ფინანსური ინსტრუმენტების შენახვა და ადმინისტრირება, მათ შორის სადეპოზიტარო მომსახურება და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურებები;
 - ერთი ან რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით სესხების ან კრედიტების გაცემის მომსახურება;
 - საინვესტიციო მომსახურებებთან დაკავშირებული სავალუტო ოპერაციები;
 - საინვესტიციო კონსულტაციების გაწევა;
 - საინვესტიციო კვლევები, ფინანსური ანალიზი და სხვა ანალოგიური ანალიტიკური საქმიანობის ფორმები.

3. ზოგადი პრინციპები

3.1. გამოყენებადი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საინვესტიციო მომსახურებების გაწევამდე ბროკერი ახორციელებს კლიენტის კატეგორიზაციას. კატეგორიზაციის მიზანია - კატეგორიზაციის მიზანია - ბროკერს მიეცეს საკმარისი საფუძველი მიიჩნიოს, რომ კლიენტი ფლობს აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს მას გააცნობიეროს იმ პროდუქტებთან ან საინვესტიციო მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც კლიენტს მიეწოდება.

3.2. ბროკერი აღიარებს და ითვალისწინებს, რომ კლიენტებსა და პოტენციურ კლიენტებს შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვა დონე ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის საინვესტიციო სფეროში, შეთავაზებული ან მოთხოვნილი პროდუქტებისა და

მომსახურებების ტიპის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ყველა კლიენტი კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- საცალო კლიენტი (Retail Client);
- გათვითცნობიერებული ინვესტორი (Informed Investor);
- პროფესიონალი კლიენტი (Professional Client);
- კვალიფიციური კონტრაგენტი (Eligible Counterparty).

3.3. აღნიშნული კატეგორიზაციის შესაბამისად, საცალო კლიენტი სარგებლობს დაცვის უფრო მაღალი დონით, შედარებით გათვითცნობიერებულ ინვესტორთან, პროფესიონალ კლიენტთან და კვალიფიციურ კონტრაგენტთან, რომელთათვისაც დაცვის დონე შემცირებულია, ვინაიდან ისინი მიიჩნევიან უფრო გამოცდილ და კომპეტენტურ მონაწილეებად ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციების განხორციელებისას.

3.4. ბროკერი ვალდებულია აცნობოს ახალ და მოქმედ კლიენტებს მათთვის მინიჭებული კატეგორიის შესახებ.

3.5. ბროკერი აცნობებს კლიენტებს მათ უფლებას მოითხოვონ საკუთარი კატეგორიის შეცვლა, აგრეთვე იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტის დაცვის დონის შეცვლასთან კატეგორიის ცვლილების შედეგად.

3.6. ბროკერს უფლება აქვს გადახედოს კლიენტის კლასიფიკაციას და შეცვალოს მისთვის მინიჭებული კატეგორია, თუ ეს მიზანშეწონილად მიიჩნევა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

4. კლიენტების კლასიფიკაცია

4.1. საცალო კლიენტის კატეგორია.

საცალო კლიენტებად მიიჩნევიან ის კლიენტები, რომლებიც ვერ მიეკუთვნებიან პროფესიონალი კლიენტის, გათვითცნობიერებული ინვესტორის ან კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიებს და რომელთათვისაც რომლებზეც, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების შესაბამისად და დირექტივა MiFID II-ის გათვალისწინებით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ფარგლებში, უზრუნველყოფილია ინვესტორის დაცვის უფრო მაღალი დონე.

4.1.1. საცალო კლიენტები ნაგულისხმევად არ მიიჩნევიან საკმარისი ცოდნისა ან გამოცდილების მქონე პირებად საინვესტიციო მომსახურებებთან, ოპერაციებთან და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების შეფასების თვალსაზრისით, განსხვავებით პროფესიონალი კლიენტებისგან, გათვითცნობიერებული ინვესტორებისა ან კვალიფიციური კონტრაგენტებისგან.

4.1.2. საცალო კლიენტს შეუძლია მოითხოვოს ისეთი საინვესტიციო მომსახურება ან წარადგინოს დავალება ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელიც ნაგულისხმევად არ არის ხელმისაწვდომი საცალო კლიენტის კატეგორიისთვის. ასეთ შემთხვევაში საცალო კლიენტი ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას (appropriateness assessment). შესაბამისობის შეფასება ტარდება კლიენტის მიერ ტესტების გავლით კლიენტის პირად კაბინეტში, რომელთა შემადგენლობა დამოკიდებულია მოთხოვნილი საინვესტიციო მომსახურების ხასიათსა და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტის სირთულეზე.

4.1.3. საცალო კლიენტს შეუძლია გამოთქვას სურვილი შეცვალოს თავისი კატეგორია პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაზე. ამისათვის მან უნდა გაიაროს შესაბამისი

ტესტები კლიენტის პირად კაბინეტში, რის შემდეგაც უნდა წარადგინოს განცხადება კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით.

4.1.4. კომპანიის კომპლაენსის განყოფილება აანალიზებს და აფასებს კლიენტის განცხადებას, ტესტების შედეგებსა და კლიენტის შესაბამისობას მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან, რომლებიც დადგენილია წინამდებარე პოლიტიკის 4.3 ნაწილით და კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის დანართი №27-ით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტები. კლასიფიკაციის პროცედურის დასკვნით ეტაპზე, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კლიენტის კატეგორია კომპანიის შიდა სისტემებში იცვლება პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაზე. კლიენტი იღებს შეტყობინებას მიღებული გადაწყვეტილებისა და ახალი კატეგორიის შესახებ.

4.1.5. საცალო კლიენტს შეუძლია გამოთქვას სურვილი შეცვალოს თავისი კატეგორია გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიაზე. ამისათვის მან უნდა გაიაროს შესაბამისი ტესტები კლიენტის პირად კაბინეტში, რის შემდეგაც უნდა წარადგინოს განცხადება კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით.

4.1.6. კომპანიის კომპლაენსის განყოფილება აანალიზებს და აფასებს კლიენტის განცხადებას, ტესტების შედეგებსა და კლიენტის შესაბამისობას მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან, რომლებიც დადგენილია კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის დანართი №27-ით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტები. კლასიფიკაციის პროცედურის დასკვნით ეტაპზე, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კლიენტის კატეგორია კომპანიის შიდა სისტემებში იცვლება გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიაზე. კლიენტი იღებს შეტყობინებას მიღებული გადაწყვეტილებისა და ახალი კატეგორიის შესახებ.

4.1.7. ბროკერი იტოვებს უფლებას უარი თქვას საცალო კლიენტის კატეგორიის შეცვლაზე, თუ კლიენტი არ აკმაყოფილებს წინამდებარე პოლიტიკითა და რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილ მოთხოვნებს.

4.2. გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორია

გათვითცნობიერებული ინვესტორი-ს კატეგორია ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომლებიც თავიანთი გამოცდილების, ცოდნის, ფინანსური მდგომარეობისა და/ან სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით ფლობენ საკმარის კომპეტენციას საინვესტიციო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად და მათთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერებულად შეფასებისთვის, რის შედეგადაც სარგებლობენ რეგულატორული დაცვის შემცირებული დონით საცალო კლიენტებთან შედარებით.

კლიენტი, რომელიც მიეკუთვნება კატეგორიას „გათვითცნობიერებული ინვესტორი“, მიიჩნევა ფინანსური ბაზრის უფრო გამოცდილ მონაწილედ, ვიდრე საცალო კლიენტი, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ იგი აკმაყოფილებდეს კატეგორიის „პროფესიონალი კლიენტი“ კრიტერიუმებს.

4.2.1. გათვითცნობიერებული ინვესტორები კანონის საფუძველზე

გათვითცნობიერებულ ინვესტორებად კანონის საფუძველზე, შეფასების გარეშე აღიარებიან პირები, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის № 223/04 ბრძანების 2-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში, მათ შორის:

- ფინანსური ორგანიზაციები, მათ შორის ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც ლიცენზირებული ან რეგულირებულია უცხო ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების მიერ, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები;
- იურიდიული პირები, რომელთა საკუთარი კაპიტალი, დათვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, აღემატება 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს;
- საქართველოს ან უცხო ქვეყნების სახელმწიფო ორგანოები, ავტონომიური რესპუბლიკები ან მუნიციპალიტეტები, მათ შორის სახელმწიფო ვალის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე ცენტრალური ბანკები;
- პირები, რომლებიც მოქმედებენ საპენსიო სქემების სახელით ან მათ სასარგებლოდ.

აღნიშნული პირები აღიარებულნი არიან გათვითცნობიერებულ ინვესტორებად შეფასების, ტესტირების ან კომპანიის შიდა კრიტერიუმების გამოყენების გარეშე, თუმცა მათ უფლება აქვთ მოითხოვონ მომსახურება საცალო კლიენტის სტატუსით.

გათვითცნობიერებულ ინვესტორად ასევე აღიარებულად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსი მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

4.2.2. გათვითცნობიერებული ინვესტორები კომპანიის შეფასების საფუძველზე

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც არ მიეკუთვნება კატეგორიებს, რომლებიც მითითებულია წინამდებარე პოლიტიკის 4.2.1 ქვეპუნქტში, შეუძლია აღიარებულ იქნას გათვითცნობიერებულ ინვესტორად მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ან მისი აშკარა თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

ბროკერს უფლება აქვს, კლიენტის მოთხოვნის ან მისი აშკარა თანხმობის საფუძველზე, აღიაროს კლიენტი გათვითცნობიერებულ ინვესტორად, თუ არსებობს გონივრული საფუძველი მიიჩნიოს, რომ კლიენტი:

- ფლობს საკმარის ცოდნასა და გამოცდილებას;
- შეუძლია საინვესტიციო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება;
- სრულად აცნობიერებს და იღებს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

4.2.3. კლიენტის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების კრიტერიუმები

დოკუმენტს, რომელიც ადგენს კრიტერიუმებს, რაოდენობრივ ზღვრულ მაჩვენებლებს, ცოდნის, გამოცდილების, ფინანსური მდგომარეობისა და, საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების მოთხოვნებს, აგრეთვე მათ დადასტურების წესს კლიენტის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარებისთვის, წარმოადგენს: „საბროკერო კომპანია „Rioni Capital“-ის კლიენტის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესი“ (კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის დანართი №27).

წინამდებარე პოლიტიკა არ იმეორებს და არ ახდენს აღნიშნული კრიტერიუმების რეპროდუცირებას და გამოიყენება მხოლოდ რეგლამენტის დანართი №27-თან ერთობლიობაში.

4.2.3.1. სტატუსის მოთხოვნისა და აღიარების პროცედურა

- a. **ფიზიკური პირებისთვის** - გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს მხოლოდ კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით, რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილი წესითა და ტექნოლოგიის გამოყენებით, მათ შორის მოთხოვნის სავალდებულო დადასტურებით ერთჯერადი SMS-კოდის მეშვეობით.
- b. **იურიდიული პირებისთვის** - იურიდიულ პირს უფლება აქვს წარადგინოს მოთხოვნა გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების შესახებ:
- კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით, ან
 - ოფიციალური კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან მოთხოვნის გაგზავნით კომპანიის მიერ მითითებულ მისამართზე.
- ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს იურიდიული პირისგან დამატებითი დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

4.2.4. დაცვის დონე და კლასიფიკაციის შედეგები

კლიენტისთვის კატეგორიის „გათვითცნობიერებული ინვესტორი“ მინიჭების შემდეგ:

- საცალო კლიენტებისთვის მოქმედი დაცვის ზომების ნაწილი აღარ ვრცელდება მასზე;
- ბროკერს უფლება აქვს ივარაუდოს, კლიენტის კატეგორიის ფარგლებში, რომ კლიენტი ფლობს საკმარის ცოდნასა და გამოცდილებას საინვესტიციო მომსახურებებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების გასაგებად.

სტატუსის მინიჭებამდე ბროკერი ვალდებულია აცნობოს კლიენტს დაცვის დონის შემცირების შესახებ და მიიღოს კლიენტის თანხმობის დადასტურება შესაბამის შედეგებთან დაკავშირებით.

4.2.5. კატეგორიის შეცვლის უფლება

გათვითცნობიერებულ ინვესტორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მომსახურება საცალო კლიენტის სტატუსით წინამდებარე პოლიტიკის მე-5 ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად.

ბროკერს უფლება აქვს გადახედოს გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსს იმ შემთხვევებსა და წესით, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე პოლიტიკითა და რეგლამენტის დანართი №27-ით.

4.3. პროფესიონალი კლიენტის კატეგორია

პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას მიეკუთვნებიან ის კლიენტები, რომლებიც ფლობენ საკმარის გამოცდილებას, ცოდნასა და კომპეტენციას იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები და ადეკვატურად შეაფასონ მათთან დაკავშირებული რისკები.

4.3.1. პროფესიონალი კლიენტები ნაგულისხმევად

ნაგულისხმევად პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას მიეკუთვნებიან შემდეგი კლიენტები:

- a. იურიდიული პირები, რომლებიც ექვემდებარებიან რეგულირებას ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის განსახორციელებლად და მიღებული აქვთ შესაბამისი ნებართვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულირების შესაბამისად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, მათ შორის დირექტივა MiFID II-ის გათვალისწინებით, ან სხვა OECD-ის (Organisation for Economic Cooperation and Development) წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ არიან ავტორიზებული ან რეგულირებული, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- საკრედიტო დაწესებულებები;
 - საინვესტიციო კომპანიები (Investment Firms);
 - სხვა ავტორიზებული ან რეგულირებული ფინანსური დაწესებულებები;
 - სადაზღვევო კომპანიები;
 - ერთობლივი (კოლექტიური) საინვესტიციო ფონდები და ასეთი ფონდების მმართველი კომპანიები;
 - საპენსიო ფონდები და ასეთი ფონდების მმართველი კომპანიები;
 - საქონლითა და საქონლის წარმოებულებით მოვაჭრე დილერები;
 - სხვა ავტორიზებული ან რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტები.
- b. მსხვილი საწარმოები, რომლებიც ინდივიდუალურ (არაკონსოლიდირებულ) საფუძველზე აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კრიტერიუმიდან ორს:
- ბალანსზე ასახული აქტივების საერთო მოცულობა - 10 მილიონი ლარი;
 - სუფთა შემოსავალი (ბრუნვა) - 20 მილიონი ლარი;
 - საკუთარი კაპიტალი - 5 მილიონი ლარი.
- c. ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ვალის მართვას ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე, ცენტრალური ბანკები, აგრეთვე საერთაშორისო და ზენაციონალური ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ევროპის ცენტრალური ბანკი (ECB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და სხვა ანალოგიური საერთაშორისო ინსტიტუტები.
- d. სხვა ინსტიტუციური ინვესტორები, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება, მათ შორის ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზდებიან აქტივების სეკიურიტიზაციაში ან დაფინანსების სხვა ფორმებში.
- 4.3.1.1.** კლიენტებს, რომლებიც ნაგულისხმევად მიეკუთვნებიან პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას, ბროკერი მომსახურების გაწევამდე აცნობებს, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ისინი ჩაითვლებიან პროფესიონალ კლიენტებად და მომსახურება გაეწევათ ამ სტატუსით, თუ კომპანიისა და კლიენტის შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.
- 4.3.1.2.** ნაგულისხმევად პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას მიეკუთვნებული კლიენტები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის დროულად ინფორმირებაზე ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიმდინარე კატეგორიზაციაზე. ამასთან, ბროკერი იღებს შესაბამის ზომებს, თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ კლიენტი აღარ აკმაყოფილებს იმ საწყის პირობებს, რომელთა საფუძველზეც იგი მიეკუთვნა პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას.
- 4.3.1.3.** კლიენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას ნაგულისხმევად, ასევე ითვლებიან გათვითცნობიერებულ ინვესტორებად.
- 4.3.2. პროფესიონალი კლიენტები ბროკერის შეფასების საფუძველზე**
- 4.3.2.1. ფიზიკური პირის პროფესიონალ კლიენტად აღიარების კრიტერიუმები**
საცალო კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაში გადაყვანა.

კლიენტის პროფესიონალ კლიენტად აღიარებისთვის აუცილებელია, რომ კლიენტი ნაგულისხმევად აკმაყოფილებდეს გათვითცნობიერებული ინვესტორის კრიტერიუმს და წარმატებით გაიაროს შესაბამისი ტესტები საინვესტიციო ცოდნის დონის შეფასების მიზნით, რომლებიც მოიცავს ძირითად ასპექტებს: ფინანსური ინსტრუმენტები, საბაზრო რისკები, მარჟინალური მექანიზმები, წარმოებული ინსტრუმენტები და დივერსიფიკაციის პრინციპები, და აგრეთვე აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კრიტერიუმიდან არანაკლებ ორს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

- კლიენტმა ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში საშუალოდ განახორციელა არანაკლებ 10 გარიგებისა თითოეულ კვარტალში, ჯამური მოცულობით არანაკლებ 1 000 000 ლარის (ან სხვა ვალუტაში ეკვივალენტის);
- კლიენტის ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის მოცულობა, მათ შორის ფულადი დეპოზიტები და ფინანსური ინსტრუმენტები, აღემატება 500 000 ლარს;
- კლიენტი ან მისი უფლებამოსილი პირი მუშაობს ან მუშაობდა ფინანსურ სექტორში არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში იმ თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს შესაბამისი ტიპის ოპერაციების ან მომსახურებების ცოდნას.

4.3.2.2. იურიდიული პირის პროფესიონალ კლიენტად აღიარების კრიტერიუმები

იურიდიული პირი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ნაგულისხმევად მიეკუთვნებიან პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას, შეიძლება აღიარებულ იქნას პროფესიონალ კლიენტად მისი განაცხადის საფუძველზე, თუ იურიდიული პირის საკუთარი კაპიტალი აღემატება 5 000 000 (ხუთ მილიონ) ლარს. ასეთი იურიდიული პირები პროფესიონალ კლიენტებად აღიარებულნი არიან კომპანიის მიერ შეფასების ჩატარების შემდეგ.

4.4. კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორია

კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიას (Eligible Counterparty) შეიძლება მიეკუთვნონ ინსტიტუტები ან ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს, რომელთა ფარგლებში ისინი:

- ასრულებენ კლიენტების დავალებებს;
- ახორციელებენ ოპერაციებს საკუთარი ანგარიშით;
- იღებენ და გადასცემენ კლიენტების დავალებებს.

4.4.1. აღნიშნულ კონტრაგენტებს მიეკუთვნებიან (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით):

- საინვესტიციო კომპანიები (Investment Firms);
- საკრედიტო დაწესებულებები (Credit Institutions);
- სადაზღვევო კომპანიები (Insurance Companies);
- ერთობლივი საინვესტიციო ფონდები და მათი მმართველი კომპანიები;
- საპენსიო ფონდები და მათი მმართველი კომპანიები;
- სხვა ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც ავტორიზებული და რეგულირებულია ევროკავშირის კანონმდებლობის ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- ეროვნული მთავრობები და მათი შესაბამისი ორგანოები, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ვალის მართვას ეროვნულ დონეზე;

- ცენტრალური ბანკები და ზენაციონალური ორგანიზაციები (ECB, EIB, IMF, მსოფლიო ბანკი და სხვ.).

4.4.2. ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ და სტატუსით ეკვივალენტურია ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებთან, ასევე შეიძლება კომპანიის მიერ, მისი შეფასების საფუძველზე, განხილულ იქნეს კვალიფიციურ კონტრაგენტებად.

4.4.3. ნაგულისხმევად კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიას მიეკუთვნებიან საბროკერო კომპანიები და ბანკები. სხვა ტიპის კომპანიები ნაგულისხმევად მიეკუთვნებიან პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას და შეიძლება ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე გადაყვანილ იქნენ კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

4.4.4. კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიაში მყოფი კლიენტები იღებენ დაცვის შემცირებულ დონეს საინვესტიციო და დამხმარე მომსახურებებთან მიმართებით. ამ კატეგორიის კლიენტებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათი კატეგორიის შეცვლა სხვა კატეგორიაზე, თუ მიიჩნევენ, რომ საჭიროებენ რისკებისგან უფრო მაღალ დაცვას.

4.4.5. კლიენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიას, ნაგულისხმევად ასევე ითვლებიან გათვითცნობიერებულ ინვესტორებად.

5. კლიენტის მოთხოვნით კატეგორიის შეცვლა

5.1. ზოგადი წესები

5.1.1. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა საკუთარი კატეგორიის შეცვლის შესახებ, განაცხადის გაგზავნით (წინამდებარე პოლიტიკის დანართები №1–4-ის ფორმების მიხედვით):

- **ფიზიკური პირები** - კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით, რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილი წესის შესაბამისად;
- **იურიდიული პირები** - კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით ან ოფიციალური კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან მოთხოვნის გაგზავნით კომპანიის მისამართზე: clients@rioni-capital.ge.

ბროკერი იტოვებს უფლებას უარი თქვას ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

5.1.2. საცალო კლიენტს შეუძლია მოითხოვოს რეკლასიფიკაცია და მომსახურება გათვითცნობიერებულ ინვესტორის ან პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაში. ამ შემთხვევაში კლიენტი მიიღებს დაცვის უფრო დაბალ დონეს.

5.1.3. პროფესიონალ კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება საცალო კლიენტის კატეგორიაში, რათა მიიღოს დაცვის უფრო მაღალი დონე. ასეთი მოთხოვნის წარდგენის პასუხისმგებლობა ეკისრება თავად პროფესიონალ კლიენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ ვერ არის საკმარისად უნარიანი შესაბამისი რისკების შეფასებისა და მართვისთვის.

5.1.4. პროფესიონალ კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კატეგორიისთვის დადგენილ კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში კლიენტი მიიღებს დაცვის უფრო დაბალ დონეს.

- 5.1.5.** გათვითცნობიერებულ ინვესტორს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება საცალო კლიენტის კატეგორიაში, რათა მიიღოს დაცვის უფრო მაღალი დონე. ასეთი მოთხოვნის წარდგენის პასუხისმგებლობა ეკისრება თავად გათვითცნობიერებულ ინვესტორს, თუ იგი მიიჩნევს, რომ ვერ არის საკმარისად უნარიანი შესაბამისი რისკების შეფასებისა და მართვისთვის.
- 5.1.6.** კვალიფიციურ კონტრაგენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება პროფესიონალი ან საცალო კლიენტის კატეგორიაში დაცვის უფრო მაღალი დონის მისაღებად. ასეთი მოთხოვნის წარდგენის პასუხისმგებლობა ეკისრება თავად კლიენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ ვერ არის საკმარისად უნარიანი შესაბამისი მომსახურებებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და მართვისთვის.
- 5.1.7.** თითოეული მოთხოვნის განხილვისას ბროკერი აფასებს დადგენილ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კლიენტის რეკლასიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ კომპანიის შეხედულებისამებრ, მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე პოლიტიკისა და რეგლამენტის დანართი №27-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ბროკერი იტოვებს უფლებას უარი თქვას კლიენტის მიერ მოთხოვნილ კატეგორიაში გადაყვანაზე.
- 5.1.8.** დაცვის სტანდარტული დონის ნებისმიერი უარყოფა ძალაში ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ჩატარებული კლიენტის კომპეტენციის, გამოცდილებისა და ცოდნის შეფასება იძლევა გონივრულ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ სავარაუდო გარიგებების ან მომსახურებების ხასიათის გათვალისწინებით კლიენტი შეძლებს დამოუკიდებლად მიიღოს საინვესტიციო გადაწყვეტილებები და სრულად აცნობიერებს მათთან დაკავშირებულ ყველა რისკს.

5.2. საცალო კლიენტის პროფესიონალ კლიენტად გადაყვანა

- 5.2.1.** საცალო კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაში გადაყვანა.
- 5.2.2.** მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტი გაივლის შესაბამის ტესტებს კლიენტის პირად კაბინეტში. ტესტები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
- საინვესტიციო მომსახურებების, გარიგებებისა და ფასიანი ქაღალდების ტიპებს, რომლებშიც კლიენტი ფლობს საკმარის ცოდნას;
 - კლიენტის მიერ განხორციელებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებების ხასიათს, მოცულობასა და სიხშირეს, აგრეთვე იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ეს გარიგებები განხორციელდა;
 - კლიენტის განათლების დონეს, პროფესიას და მის წინა სამუშაო გამოცდილებას.
- 5.2.3.** თუ კლიენტი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცალო კლიენტი, და აკმაყოფილებს წინამდებარე პოლიტიკის 4.3 ნაწილში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, დამატებითი შეფასება ხორციელდება ბროკერის შიდა პროცედურების შესაბამისად.
- 5.2.4.** მოთხოვნის მიღების შემდეგ კლიენტს ეგზავნება დაცვის დაკარგვის შესახებ შეტყობინება (Loss of Protection Notice) (წინამდებარე პოლიტიკის დანართი №5), რომლის მიზანია კლიენტის ინფორმირება იმ დაცვისა და ინვესტორის კომპენსაციის უფლებების შესახებ, რომლებიც მას ჩამოერთმევა. კლიენტი ვალდებულია დაადასტუროს, რომ გაეცნო დაცვის დაკარგვის შედეგებს.
- 5.2.5.** კომპანიის კომპლაენსის განყოფილება აანალიზებს კლიენტის განცხადებას, ტესტების შედეგებს და აფასებს კლიენტის შესაბამისობას წინამდებარე პოლიტიკის 4.3 ნაწილში აღწერილ კრიტერიუმებთან, აგრეთვე რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილ კრიტერიუმებთან.

- 5.2.6.** საჭიროების შემთხვევაში ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს კლიენტისგან დამატებითი დოკუმენტები ან ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებენ კლიენტის შესაბამისობას დადგენილ კრიტერიუმებთან.
- 5.2.7.** ბროკერი იღებს ყველა გონივრულ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროფესიონალი კლიენტის სტატუსის მომთხოვნი კლიენტი შეძლებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას, რისკების გაცნობიერებას, სწორად შეფასებასა და მართვას, და არ ახორციელებს კლიენტის ავტომატურ კლასიფიკაციას წინასწარი განხილვისა და დადასტურების გარეშე.
- 5.2.8.** ბროკერი ადარებს კლიენტის მიერ ონბორდინგის პროცესში წარმოდგენილ ინფორმაციას, მათ შორის KYC მონაცემებს, კლიენტის ეკონომიკური პროფილის შეფასების შედეგებს (ქონების მოცულობა, საინვესტიციო პორტფელის ზომა, ლიკვიდური აქტივების არსებობა) კლიენტის რეკლასიფიკაციის მოთხოვნაში მითითებულ ინფორმაციასთან. შეუსაბამოების ან არასწორი ინფორმაციის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში საცალო კლიენტის მოთხოვნა პროფესიონალ კლიენტად გადაყვანის შესახებ შეიძლება უარყოფილ იქნას.
- 5.2.9.** მოთხოვნის დამტკიცების შემდეგ კლიენტის კატეგორია კომპანიის სისტემებში იცვლება პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაზე. კლიენტი იღებს პროფესიონალი კლიენტის კატეგორიის მინიჭების შესახებ შეტყობინებას (Informed Client Status Assignment Notice) (იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის დანართი №3).
- 5.2.10.** ბროკერი იტოვებს უფლებას უარი თქვას საცალო კლიენტის პროფესიონალ კლიენტად გადაყვანაზე.
- 5.3. საცალო კლიენტის გათვითცნობიერებულ ინვესტორად გადაყვანა**
- 5.3.1.** საცალო კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიაში გადაყვანა. ასეთი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით. მოთხოვნის წარდგენამდე კლიენტი ვალდებულია გაიაროს შესაბამისი ტესტები კლიენტის პირად კაბინეტში. მოთხოვნა ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი ტესტების გავლების შემდეგ.
- 5.3.2.** მოთხოვნის მიღების შემდეგ კლიენტს ეგზავნება დაცვის დაკარგვის შესახებ შეტყობინება (Loss of Protection Notice) (წინამდებარე პოლიტიკის დანართი №5), რომლის მიზანია კლიენტის ინფორმირება იმ დაცვისა და ინვესტორის კომპენსაციის უფლებების შესახებ, რომლებიც მას ჩამოერთმევა. კლიენტი ვალდებულია დაადასტუროს, რომ გაეცნო დაცვის დაკარგვის შედეგებს.
- 5.3.3.** შემდეგ კომპანიის კომპლაიენსის განყოფილება აანალიზებს და აფასებს მიღებულ განაცხადს, კლიენტის ოპერაციების ისტორიას და რისკ-პროფილს, კლიენტის მიერ კლიენტის პირად კაბინეტში ტესტების გავლის შედეგებს, აგრეთვე კლიენტის შესაბამისობას რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილ კრიტერიუმებთან. საჭიროების შემთხვევაში ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს კლიენტისგან დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტები.
- 5.3.4.** მოთხოვნის დამტკიცების შემდეგ კლიენტი იღებს გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების შესახებ შეტყობინებას (Informed Client Status Assignment Notice) (იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის დანართი №6).
- 5.3.5.** ბროკერს უფლება აქვს განიხილოს თავისი საცალო კლიენტი როგორც გათვითცნობიერებული ინვესტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად დაცულია რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილი კრიტერიუმები და პროცედურები.
- 5.3.6.** კლიენტის მიერ დაცვის სტანდარტული დონის ნებისმიერი უარყოფა შეიძლება ჩაითვალოს ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ჩატარებული

კლიენტის კომპეტენციის, გამოცდილებისა და ცოდნის შეფასება იძლევა გონივრულ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ კლიენტი შეძლებს დამოუკიდებლად მიიღოს საინვესტიციო გადაწყვეტილებები და სრულად აცნობიერებს მათთან დაკავშირებულ რისკებს, სავარაუდო ოპერაციების ხასიათის გათვალისწინებით.

5.3.7. თუ რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილი შეფასების კრიტერიუმები არ არის შესრულებული, ბროკერი თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს, უნდა გაუწიოს თუ არა მომსახურება მოთხოვნილ კატეგორიაში. თუ კლიენტის მოთხოვნა გათვითცნობიერებული ინვესტორის სტატუსის მინიჭების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ბროკერი აცნობებს კლიენტს უარის შესახებ.

5.3.8. ყველა კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მიმდინარე კატეგორიაზე.

5.3.9. თუ ბროკერისთვის ცნობილი გახდება, რომ კლიენტი აღარ აკმაყოფილებს იმ საწყის პირობებს, რომელთა საფუძველზეც იგი მიეკუთვნა გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიას, ბროკერი იღებს შესაბამის ზომებს.

5.4. პროფესიონალი კლიენტის კვალიფიციურ კონტრაგენტად გადაყვანა

5.4.1. კლიენტს, რომელიც ნაგულისხმევად მიეკუთვნება პროფესიონალი კლიენტის კატეგორიას, უფლება აქვს წარადგინოს მოთხოვნა მისთვის კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიის მინიჭების შესახებ. ამისათვის კლიენტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აგზავნის მოთხოვნას შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ წინამდებარე პოლიტიკის დანართი №3-ში განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, აგრეთვე ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომლებიც ადასტურებენ კლიენტის შესაბამისობას ამ კატეგორიისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.

5.4.2. რეკლასიფიკაციის მოთხოვნის წარდგენით კლიენტი ადასტურებს, რომ იგი ინფორმირებულია პროფესიონალი კლიენტის კატეგორიისთვის გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების დაკარგვის შედეგების შესახებ.

5.4.3. ბროკერი იღებს ყველა გონივრულ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ კლიენტი, რომელიც მოითხოვს კვალიფიციური კონტრაგენტის კატორიას, აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე პოლიტიკის 4.4 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბროკერი იტოვებს უფლებას უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე..

5.5. კვალიფიციური კონტრაგენტის საცალო ან პროფესიონალ კლიენტად გადაყვანა

5.5.1. მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, კლიენტს, რომელიც მიეკუთვნება კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიას, უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაში დაცვის უფრო მაღალი დონის მისაღებად ან საცალო კლიენტის კატეგორიაში დაცვის უმაღლესი დონის მისაღებად.

5.5.2. ასეთი მოთხოვნების განხილვისას ბროკერი, მათ შორის, ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- ადრე კლიენტთან შეთანხმებული სპეციალური საკომისიო პირობების არსებობას, რომლებიც შესაძლოა გადახედილ იქნეს;
- დამატებით ადმინისტრაციულ დატვირთვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული მოთხოვნის შესრულებამ.

5.5.3. თუ ბროკერი იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნა კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიიდან პროფესიონალი ან საცალო კლიენტის

კატეგორიაში გადაყვანის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება კომპანიისა და კლიენტის შორის დადებული დამატებითი შეთანხმებით.

5.5.4. თუ კლიენტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ბროკერი აცნობებს კლიენტს უარის შესახებ.

5.6. პროფესიონალი კლიენტის საცალო კლიენტად გადაყვანა

5.6.1. პროფესიონალი კლიენტის კატეგორიაში მყოფ კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურება საცალო კლიენტის კატეგორიაში დაცვის უფრო მაღალი დონის მისაღებად.

ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია წარადგინოს მოთხოვნა კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით.

5.6.2. მოთხოვნის განხილვამდე ბროკერი აფასებს ყველა შესაბამის გარემოებას, მათ შორის: კლიენტთან ადრე დადებული სპეციალური საკომისიო შეთანხმებების არსებობას, აგრეთვე დამატებით ადმინისტრაციულ დატვირთვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებამ.

5.6.3. თუ ბროკერი იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს პროფესიონალი კლიენტის მოთხოვნა საცალო კლიენტის კატეგორიაში გადაყვანის შესახებ, კომპანიისა და კლიენტის შორის ფორმდება დამატებითი შეთანხმება.

5.6.4. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში ბროკერი აცნობებს კლიენტს დადგენილი წესით.

6. კლიენტის კატეგორიის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

6.1. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისთვის მინიჭებულ კატეგორიაზე.

6.2. ბროკერი პერიოდულად, არანაკლებ სამ (3) წელიწადში ერთხელ, ამოწმებს კლიენტის საინვესტიციო პროფილის შესაბამისობას მისთვის დადგენილ კატეგორიასთან. შემოწმების პროცესში ბროკერი ახორციელებს კლიენტის პროფილთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების მონიტორინგს. კატეგორიის გადახედვის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი გარემოებები (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება):

- კლიენტის სავაჭრო და/ან საინვესტიციო აქტივობა არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ მოცულობებს;
- საკმარისი საბაზრო აქტივობის ან ჩართულობის არარსებობა;
- კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება;
- კლიენტის ლიცენზიის გაუქმება, შეჩერება ან გაყინვა;
- კლიენტის უფლებამოსილი პირის სტატუსის შეცვლა;
- კლიენტის მიმართ სანქციების დაწესება;
- სხვა მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც ცნობილი გახდება კომპანიისთვის და რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კლიენტის კატეგორიასა და მისი დაცვის დონეზე.

6.3. თუ კომპანიის პასუხისმგებელი თანამშრომელი დაადგენს, რომ კლიენტის გარემოებები განსხვავდება იმ გარემოებებისგან, რომელთა საფუძველზეც კლიენტს მიენიჭა მოქმედი კატეგორია, იგი ვალდებულია დაუკავშირდეს კლიენტს ახალი გარემოებების დასაზუსტებლად და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს კლიენტის რეკლასიფიკაცია განახლებული მონაცემების შესაბამისად.

- 6.4. კომპანიის პასუხისმგებელი თანამშრომელი შესაბამის დოკუმენტაციას ან შეტყობინებას უგზავნის კომპლაენსის განყოფილებას დასამტკიცებლად და სისტემაში ცვლილებების შესატანად.

7. ინვესტიორის დაცვის უფლებები

- 7.1. საცალო კლიენტის კატეგორიაში მყოფი კლიენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფრო მაღალი დონით, ვიდრე სხვა კატეგორიების კლიენტები. ზოგადი ფორმით, საცალო კლიენტებისთვის გათვალისწინებული დამატებითი დაცვის ზომები მოიცავს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
1. ბროკერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ კლიენტებთან ნებისმიერი კომუნიკაცია იყოს სამართლიანი, მკაფიო და არ იყოს შეცდომაში შემყვანი. ამასთან, ინფორმაციის დეტალიზაციის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს კლიენტის კატეგორიის მიხედვით, თუმცა ბროკერი ყოველთვის აწვდის ყველა არსებით ინფორმაციას მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად.
 2. ბროკერი ვალდებულია საცალო კლიენტს მიაწოდოს გაფართოებული ინფორმაციისა და გამჟღავნების მოცულობა, მათ შორის:
 - ინფორმაცია კომპანიისა და მისი მომსახურებების შესახებ;
 - ფინანსური ინსტრუმენტების აღწერა და მათი მახასიათებლები;
 - ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების ბუნებისა და მათთან დაკავშირებული რისკების შესახებ;
 - ინფორმაცია ხარჯების, საკომისიოების და სხვა დანახარჯების შესახებ;
 - ინფორმაცია კლიენტების ფინანსური ინსტრუმენტებისა და ფულადი სახსრების დაცვის ზომების შესახებ.
- 7.2. ინვესტიციური მომსახურებების გაწევისას კლიენტის დავალებების მიღებისა და გადაცემის (Reception & Transmission of Orders) და/ან კლიენტის დავალებების შესრულების (Execution of Orders) ფარგლებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოპერაციები დაკავშირებულია რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ბროკერი ვალდებულია ჩაატაროს შესაბამისობის შეფასება (appropriateness assessment) - საცალო კლიენტის ცოდნისა და გამოცდილების შემოწმება კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების მიმართ. ასეთი შეფასების მიზანია დარწმუნდეს, რომ კლიენტი აცნობიერებს შეთავაზებულ პროდუქტებთან ან მომსახურებებთან დაკავშირებულ რისკებს და რომ ისინი შეესაბამება მის ცოდნისა და გამოცდილების დონეს.
- 7.3. პროფესიონალი კლიენტების, გათვითცნობიერებული ინვესტორებისა და კვალიფიციური კონტრაგენტების მიმართ ბროკერს უფლება აქვს ივარაუდოს, რომ კლიენტი ფლობს საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას შესაბამის საინვესტიციო მომსახურებებთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების გასაგებად და, შესაბამისად, მათ მიმართ შესაბამისობის შეფასება არ ტარდება, მათ შორის რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომის შემთხვევაშიც.
- 7.4. კლიენტის დავალებების შესრულებისას ბროკერი იღებს ყველა გონივრულ ზომას „საუკეთესო შესრულების“ (Best Execution) უზრუნველსაყოფად, ანუ კლიენტისთვის შესაძლო საუკეთესო შედეგის მისაღწევად. საუკეთესო შესრულების კრიტერიუმები აღწერილია კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის დანართი №14-ში - „კლიენტთა დავალებების საუკეთესო შესრულების პოლიტიკა“.
- 7.5. ინფორმაცია დაცვის დონის დაკარგვის შესახებ, რომელიც წარმოიშობა კლიენტის რეკლასიფიკაციის შედეგად საცალო კლიენტის კატეგორიიდან პროფესიონალი კლიენტის

კატორიაში გადასვლისას, მიეწოდება თითოეულ კლიენტს გასაცნობად და მიღების დასადასტურებლად (იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის დანართი №5).

- 7.6. ბროკერი მკაცრად ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან ან პრაქტიკისგან, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს, უზიძგებდეს ან ზეწოლას ახდენდეს ინვესტორზე მისი მხრიდან პროფესიონალი კლიენტის ან გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიაში გადაყვანის მოთხოვნის წარდგენისთვის.

8. პოლიტიკის გადახედვა

- 8.1. წინამდებარე პოლიტიკა ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას, აგრეთვე გადახედვას ნებისმიერ დროს იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა არსებითი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის პროცედურებსა და პრინციპებზე, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტების კატეგორიზაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან.
- 8.2. ბროკერი იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ და ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები და დამატებები წინამდებარე პოლიტიკაში, თუ ამას ჩათვლის აუცილებელად ან მიზანშეწონილად.

დანართები

დანართი №1.

განაცხადი გათვითცნობიერებული ინვესტორის კატეგორიის მინიჭების შესახებ

(Informed Investor Application Form)

კლიენტის სახელი: _____

კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

ამით ვადასტურებ, რომ მსურს მივეკუთვნო კატეგორიას „გათვითცნობიერებული ინვესტორი“.

1. ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში შესაბამის ბაზრებზე ვახორციელებდი გარიგებებს მნიშვნელოვანი მოცულობით საშუალოდ არანაკლებ 10 გარიგებისა თითოეულ კვარტალში:

☐ დიახ ☐ არა

2. ჩემი საინვესტიციო პორტფელის მოცულობა (მათ შორის თავისუფალი ფულადი სახსრები და ფინანსური ინსტრუმენტები) შეესაბამება რეგლამენტის დანართი №27-ით დადგენილ კრიტერიუმებს:

☐ დიახ ☐ არა

3. ვმუშაობდი არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ფინანსურ სექტორში პროფესიულ პოზიციაზე, რომელიც მოითხოვს მოსალოდნელი გარიგებების ან მომსახურებების სფეროში ცოდნას:

☐ დიახ ☐ არა

ასევე ვადასტურებ, რომ მესმის: ბროკერი არ მოახდენს ჩემი კლასიფიკაციას გათვითცნობიერებულ ინვესტორად მხოლოდ ცალკეული საინვესტიციო მომსახურებების, ოპერაციების, ოპერაციების ტიპების ან ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ. კატეგორიის „გათვითცნობიერებული ინვესტორი“ მინიჭება გავრცელდება ყველა საინვესტიციო მომსახურებაზე, ოპერაციაზე, ოპერაციის ტიპსა და/ან ფინანსურ ინსტრუმენტზე.

ვადასტურებ, რომ გავეცანი კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკას (Client Categorization Policy) და ვაცნობიერებ დაცვისა და ინვესტორის კომპენსაციის იმ ზომებს, რომლებიც შესაძლოა დავკარგო კატეგორიის „გათვითცნობიერებული ინვესტორი“ მინიჭების შედეგად.

☐ დიახ ☐ არა

დართული დოკუმენტები: _____

თარიღი: _____

კლიენტის ხელმოწერა: _____

განაცხადი პროფესიონალი კლიენტის კატეგორიის მინიჭების შესახებ

(Professional Client Application Form)

კლიენტის სახელი: _____

კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

ამით ვადასტურებ, რომ მსურს მივეკუთვნო კატეგორიას „პროფესიონალი კლიენტი“.

1. ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში შესაბამის ბაზრებზე ვახორციელებდი გარიგებებს მნიშვნელოვანი მოცულობით საშუალოდ არანაკლებ 10 გარიგებისა თითოეულ კვარტალში:

☐ დიახ ☐ არა

2. ჩემი საინვესტიციო პორტფელის მოცულობა (მათ შორის თავისუფალი ფულადი სახსრები და ფინანსური ინსტრუმენტები) აღემატება 500 000 (ხუთასი ათას) ლარს:

☐ დიახ ☐ არა

3. ვმუშაობდი არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ფინანსურ სექტორში პროფესიულ პოზიციაზე, რომელიც მოითხოვს მოსალოდნელი გარიგებების ან მომსახურებების სფეროში ცოდნას:

☐ დიახ ☐ არა

ვადასტურებ, რომ მესმის: ბროკერი არ მოახდენს ჩემი კლასიფიკაციას პროფესიონალ კლიენტად მხოლოდ ცალკეული საინვესტიციო მომსახურებების, ოპერაციების, ოპერაციების ტიპების ან ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ. კატეგორიის „პროფესიონალი კლიენტი“ მინიჭება გავრცელდება ყველა საინვესტიციო მომსახურებაზე, ოპერაციაზე, ოპერაციის ტიპსა და/ან ფინანსურ ინსტრუმენტზე.

ვადასტურებ, რომ გავეცანი კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკას (Client Categorization Policy) და ვაცნობიერებ დაცვისა და ინვესტიციის კომპენსაციის იმ ზომებს, რომლებიც შესაძლოა დავკარგო კატეგორიის „პროფესიონალი კლიენტი“ მინიჭების შედეგად.

☐ დიახ ☐ არა

დართული დოკუმენტები: _____

თარიღი: _____

კლიენტის ხელმოწერა: _____

განაცხადი კვალიფიციური კონტრაგენტის კატეგორიის მინიჭების შესახებ

(Eligible Counterparty Application Form)

კლიენტის დასახელება: _____

კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

კლიენტის მისამართი: _____

ამით ვადასტურებთ ჩვენს განზრახვას და ვაცხადებთ თანხმობას, რომ მოგვენიჭოს კატეგორია „კვალიფიციური კონტრაგენტი“.

ვადასტურებთ, რომ ფლობთ საკმარის გამოცდილებას, ცოდნასა და კომპეტენციას საინვესტიციო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად და იმ რისკების სათანადოდ შესაფასებლად, რომლებსაც ვიღებთ.

ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ თანხმობას, რომ მოგვენიჭოს კატეგორია „კვალიფიციური კონტრაგენტი“ დირექტივა MiFID II-ის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებასა და მოთხოვნებს.

ასევე ვადასტურებთ, რომ გვესმის და ვაცნობიერებთ, რომ როგორც „კვალიფიციური კონტრაგენტი“, ვიქნებით დაცვის უფრო დაბალი დონის ქვეშ, ვიდრე „პროფესიონალი კლიენტი“.

კერძოდ, ჩვენ ინფორმირებული ვართ შემდეგის შესახებ:

1. ბროკერი არ არის ვალდებული მოგვაწოდოს ინფორმაცია საქმიანობის წესების შესრულების, კლიენტის დავალებების დამუშავების წესისა და საუკეთესო შესრულების (Best Execution) პრინციპის გამოყენების შესახებ;
2. ბროკერი არ არის ვალდებული შეაფასოს საინვესტიციო პროდუქტის ან მომსახურების შესაბამისობა ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დონესთან მათი მიწოდებისას.

ვადასტურებთ, რომ სრულად ვაცნობიერებთ ასეთი კატეგორიზაციის შედეგებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ გადაყვანა უფრო მაღალი დაცვის მქონე კატეგორიაში.

ხელმოწერა: _____

სახელი, თანამდებობა: _____

დანართი N 4

განაცხადი საცალო კლიენტის კატეგორიის
მინიჭების შესახებ
(Retail Client Application Form)

კლიენტის სახელი: _____

კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

ამით ვადასტურებ, რომ მსურს მივეკუთვნო კატეგორიას „საცალო კლიენტი“.

ვადასტურებ, რომ გავიცანი კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკას
(Client Categorization Policy)

☐ დიახ ☐ არა

თარიღი: _____

კლიენტის ხელმოწერა: _____

შეტყობინება დაცვის დაკარგვის შესახებ (Loss of Protection Notice)

ვის: _____ (კლიენტის სახელი, გვარი)
მისამართი: _____

პატივცემულო კლიენტო,
გთხოვთ, მიიღოთ ცნობად, რომ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოგენიჭებათ კატეგორია დაცვის უფრო დაბალი დონით, ვიდრე თქვენი მიმდინარე კატეგორია, თქვენ დაკარგავთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვესტიციის დაცვის გარკვეულ ზომებს, მათ შორის შემდეგს:

1. ფინანსური კომუნიკაციები და რეკლამა

ზოგიერთი მოთხოვნა, რომელიც არეგულირებს ფინანსური მასალებისა და სარეკლამო შეტყობინებების ფორმასა და შინაარსს, აღარ გავრცელდება თქვენზე.

ყველა ფინანსური მასალა, რომელიც მიეწოდება საცალო კლიენტებს, ექვემდებარება სავალდებულო კონტროლს, ანალიზსა და დამტკიცებას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოგენიჭებათ კატეგორია, რომელიც განსხვავდება კატეგორიისგან „საცალო კლიენტი“, ბროკერი აღარ იქნება ვალდებული მოგაწოდოთ ინვესტიციის ხასიათის, ვალდებულებების მოცულობისა და მასთან დაკავშირებული რისკების სრული აღწერა.

2. საკომისიოებისა და პარტნიორთა ანაზღაურების გამჟღავნება

ბროკერი ივარაუდებს, რომ თქვენ გესმით საკომისიოების გადახდასთან და გარიგებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ბუნება და მასშტაბი და შეგიძლიათ დამოუკიდებლად შეაფასოთ სხვადასხვა ინვესტიციასთან დაკავშირებული დანახარჯების დონე.

3. ინვესტიციური რისკების გააზრება

ბროკერი ივარაუდებს, რომ თქვენ გესმით ნებისმიერი კონკრეტული ინვესტიციის ან გარიგების ხასიათი და რისკის დონე, რომლებიც შემოგთავაზათ კომპანიამ, და შეგიძლიათ დამოუკიდებლად შეაფასოთ სხვადასხვა ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკების ტიპები და დონე.

4. კლიენტის ცოდნა და გამოცდილება

ბროკერი ივარაუდებს, რომ თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ ჩვენი რეკომენდაციების მიზანშეწონილობა და ფლობთ ან შეგიძლიათ მოიპოვოთ ყველა საჭირო ინფორმაცია ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე რომ ფლობთ საკმარის ცოდნასა და გამოცდილებას შეთავაზებულ პროდუქტებთან ან მომსახურებებთან დაკავშირებული რისკების გასაგებად.

5. მკაფიო, სამართლიანი და არამატყუარა კომუნიკაციები

ბროკერი გაითვალისწინებს თქვენს პროფესიულ მომზადების დონეს იმ მოთხოვნების დაცვით, რომლებიც ავალდებულებს კომუნიკაციას იყოს მკაფიო, სამართლიანი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი.

6. კლიენტის კატეგორიის შეცვლის მოთხოვნა

მას შემდეგ, რაც ბროკერი მოგანიჭებთ კატეგორიას დაცვის უფრო დაბალი დონით, ვიდრე თქვენი მიმდინარე კატეგორია, თქვენ ინარჩუნებთ უფლებას მოითხოვოთ დაბრუნება დაცვის უფრო მაღალ დონეზე.

დაცვის უფრო მაღალი დონე უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წარადგენთ მოთხოვნას შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ და კომპანიასა და თქვენ შორის გაფორმდება შეთანხმება მოთხოვნილი კატეგორიის მინიჭების თაობაზე.

დანართი №6

შეტყობინება დაცვის უფრო დაბალი დონის მქონე კატეგორიის მინიჭების შესახებ (Category Assignment Notice)

ვის: _____ (კლიენტის სახელი, გვარი)
მისამართი: _____

პატივცემულო კლიენტო,
თქვენი მიმართვის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ თქვენ მოგენიჭათ კატეგორია

„კატეგორიის დასახელება“.

ეს ნიშნავს, რომ საინვესტიციო ოპერაციების განხორციელებისა და მომსახურებების გაწევისას ბროკერი გამოიყენებს ინფორმირების, მომსახურებისა და დაცვის იმ დონეს, რომელიც შეესაბამება თქვენს კატეგორიას საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, ხოლო დირექტივა MiFID II გამოიყენება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნებს.

ამ შეტყობინებით გაცნობებთ, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ბროკერი განიხილავს თქვენ როგორც შესაბამისი კატეგორიის კლიენტს საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესაბამისად, ხოლო დირექტივა MiFID II გამოიყენება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნებს.

წინამდებარე შეტყობინება წარმოადგენს საერთო შეთანხმებას, რომელიც ასევე ვრცელდება თქვენს სახელზე კომპანიაში გახსნილ ყველა ინდივიდუალურ ოპერაციასა და ანგარიშზე. აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება კომპანიასთან თქვენი ყველა ურთიერთობის მიმართ MiFID II-ის ფარგლებში, იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებს.

ამასთან, თქვენ ინარჩუნებთ უფლებას ნებისმიერ დროს მოითხოვოთ კატეგორიის შეცვლა დაცვის უფრო მაღალი დონის მქონე კატეგორიაზე, თუ ჩათვლით, რომ ვერ ახერხებთ შესაბამისი რისკების ადეკვატურ შეფასებას ან მართვას.

კომპანიის ინფორმირება ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თქვენს მიმდინარე კლასიფიკაციაზე, ეკისრება თქვენ.

წინამდებარე შეტყობინების ხელმოწერით და დაბრუნებით თქვენ ადასტურებთ თანხმობას კომპანიის შემდეგ შიდა დოკუმენტებთან:

- რეგლამენტის დანართი №25 - ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა;
- რეგლამენტის დანართი №14 - კლიენტთა დავალებების საუკეთესო შესრულების პოლიტიკა;
- რეგლამენტის დანართი №29 - კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკა;
- კლიენტების მომსახურების რეგლამენტი;

ასევე ადასტურებთ, რომ გაეცანით დაცვის დაკარგვის შეტყობინებას (Loss of Protection Notice) და გესმით განსხვავება სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებისთვის გათვალისწინებულ დაცვის დონეებს შორის.

თარიღი: _____
კლიენტის ხელმოწერა: _____

დანართი №7

შეტყობინება დაცვის უფრო მაღალი დონის მქონე კატეგორიის მინიჭების შესახებ (Category Assignment Notice)

პატივცემულო კლიენტო,

თქვენი მიმართვის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ თქვენ მოგენიჭათ კატეგორია

„კატეგორიის დასახელება“.

ეს ნიშნავს, რომ საინვესტიციო ოპერაციების განხორციელებისა და მომსახურებების გაწევისას ბროკერი გამოიყენებს ინფორმირების, მომსახურებისა და დაცვის იმ დონეს, რომელიც შეესაბამება თქვენს კატეგორიას საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო დირექტივა MiFID II გამოიყენება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნებს.

ამ შეტყობინებით გაცნობებთ, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ბროკერი განიხილავს თქვენ როგორც შესაბამისი კატეგორიის კლიენტს საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესაბამისად, ხოლო დირექტივა MiFID II გამოიყენება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოთხოვნებს.

წინამდებარე შეტყობინება წარმოადგენს საერთო შეთანხმებას, რომელიც ასევე ვრცელდება თქვენს სახელზე კომპანიაში გახსნილ ყველა ინდივიდუალურ ოპერაციასა და ანგარიშზე. აღნიშნული კლასიფიკაცია გამოიყენება კომპანიასთან თქვენი ყველა ურთიერთობის მიმართ MiFID II-ის ფარგლებში, იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებს.

კომპანიის ინფორმირება ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თქვენს მიმდინარე კლასიფიკაციაზე, ეკისრება თქვენ.

წინამდებარე შეტყობინების ხელმოწერით და დაბრუნებით თქვენ ადასტურებთ თანხმობას კომპანიის შემდეგ დოკუმენტებთან:

- ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა (Conflicts of Interest Policy);
- საუკეთესო შესრულების პოლიტიკა (Best Execution Policy);
- კლიენტების კატეგორიზაციის პოლიტიკა (Client Categorization Policy);
- კლიენტთა მომსახურების რეგლამენტი (General Terms of Business);

ასევე ადასტურებთ, რომ გესმით სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებისთვის გათვალისწინებული დაცვის დონეებს შორის არსებული განსხვავებები.

თარიღი: _____

კლიენტის ხელმოწერა: _____